

ანაბრების დაზღვევის მნიშვნელობა საქართველოს საბანკო სისტემაში

საქართველოსთვის, ისევე როგორც ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცისთვის, მეტად დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ქვეყნებში არსებული და მიმოქცევადი ფულის ძირითადი ნაწილი ბრუნავს საბანკო სისტემის გვერდის ავლით, საგადასხდელო-საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გარეშე, რითაც ირღვევა მთლიანი ფულადი ბრუნვის ორგანიზებული ხასიათი. ამ შემთხვევაში თითქმის შეუძლებელი ხდება ნებისმიერი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება ქვეყანაში შემქმნილი მდგომარეობის სტაბილიზაციისკენ. თითქმის შეუძლებელი ხდება ცენტრალური ბანკების მიერ ფულად-საკრედიტო სისტემის და მთლიანად, ეკონომიკის ფუნქციონირების მდგრადობის უზრუნველყოფა.

იმ პირობებში, როდესაც ფულის მასის გარკვეული და მნიშვნელოვანი ნაწილი ბრუნავს საბანკო სისტემის გავლის გარეშე, შეუძლებელია ნებისმიერი სახელმწიფო თუ საბანკო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ზედმიწევნით, ხარისხიანად განხორციელება. შეუძლებელია ბრუნვიდან, საჭიროების შემთხვევაში, ფულადი თანხების ამოღება ან პირიქით, ფულის დეფიციტის შემთხვევაში, ბანკებისთვის დამატებითი რესურსების მიცემა და ბრუნვაში გაშვება დაკრედიტების სახით, იმ ზუსტი ოდენობით, რამდენიც საჭიროა კონკრეტული მომენტისათვის.

სწორედ აქედან გამომდინარე, პირველ რიგში გასატარებელია ღონისძიებები, რომელიც სრულად უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებული ფულის მასის სრულად გატარებას საბანკო სისტემის მეშვეობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც, ბანკების მიმართ უნდობლობის ფაქტორი დღესაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ყურადსაღებ მოვლენად რჩება. ქვეყნის მოსახლეობას ჯერ კიდევ კარგად ახსოვს სულ ახლო წარსულში ყოფილი “კომუნისტური” სახელმწიფოს მიერ მოწყობილი დიდი “აფერა”, რომელიც მოხდა 1990-1991 წლებში. საქმე ეხება ოპერაციას, რომელიც “ვითომდა” ანაბრების გაორმაგებასთან იყო დაკავშირებული, რის შედეგადაც,

მაია ალადაშვილი,
ი. გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ მეცნიერებათა,
ბიზნესის და სამართლის
სკოლის ასისტენტ-პროფესორი

მოსახლეობას მთლიანად დააკარგინეს წლების განმავლობაში ნაგროვები დანაზოგები. შემდგომში, უკვე “ახალი საბაზრო ეკონომიკის” სივრცეში, ეგრეთ წოდებული “ჯიბის ბანკების” მიერ განხორციელებულმა თაღლითობებმა, ცენტრალური ბანკების მხრიდან უკონტროლობის პირობებში, ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ბანკში მაღალი სარგებლის მიღების მიზნით შეტანილი ანაბრების და დეპოზიტების გარეშე დატოვა.

აქედან გამომდინარე, დღესაც, არცთუ დაბალია მოსახლეობის დიდი ნაწილის უნდობლობის ხარისხი ბანკების მიმართ. სწორედ ამიტომაც, რომ მომოქცევაში არსებული ფულის არცთუ მცირე ნაწილი, რომელიც, წესით, მოსახლეობის მიერ უნდა განთავსებული იყოს საბანკო ინსტიტუტებში, ანაბრებისა და დეპოზიტების სახით სარგებლის მიღების მიზნით, კვლავ შენახულია ბანკების გარეთ. თუმცა, ეს რესურსი, შესაძლებელია დროებით, კვლავ საბანკო სისტემის მიერ სესხების სახით გადაეცეთ მათ, ვისაც ამჟამად ამის საჭიროება გააჩნია ანუ მოხმარდეს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას.

ალბად ამიტომაც, რომ ბანკების მიერ მოზიდული სახსრების 70% უცხოური ინვესტიციებია. ეს ხდება იმიტომაც, რომ ბანკებს ადგილობრივი დეპოზიტების მოსაზიდად უფრო მეტი ხარჯის გაწევა უწევთ, თანაც ადგილობრივი რესურსი უფრო ძვირია, ვიდრე საზღვარგარეთიდან მოზიდული ინვესტიციები.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა მდგომარეობს იმაში, რომ უნდა შემოიღებული იქნეს ქვეყანაში ანაბრების დაზღვევის მოქნილი სისტემა, რომლის მექანიზმიც მთლიანად მორგებული იქნება მიმდინარე ეკონომიკურ

პირობებზე. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც მოსახლეობის, ასევე ბანკის, ანუ ორივე მხარის ინტერესები. რის შედეგადაც მივიღებთ სიტუაციას, როდესაც სრულიად მოიხსნება მოსახლეობის შიში ბანკების მიმართ, ანუ ანაბრების დაცულობის ხარისხი მოიმატებს და დროებით თავისუფალი ფულის მთლიანი მასა, რომელიც ამჟამად, შიშის ფაქტორის გამო, შენახულია არასაბანკო დაწესებულებებში, განთავსდება საბანკო ანგარიშებზე. ამით სარგებელი ექნება როგორც მეანაბრეს, საპროცენტო სარგებლის მიღების სახით, ასევე მსესხებელს, რომლის ბიზნეს საქმიანობის დასაფინანსებლადაც ბანკი მიმართავს ამ რესურსებს. საბოლოო ჯამში, ეს ყველაზე მომგებიანი გახდება ქვეყნის ეკონომიკისთვის, რადგან კერძო ბიზნესის განვითარება ქვეყნის განვითარების საწინდარი ია.

ანაბრების დაზღვევის ფონდები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია შექმნილი და წარმატებითაც ფუნქციონირებს. საკმარისია, გავიხსენოთ კანადის ანაბრების დაზღვევის სისტემა, რის გამოც, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, კანადის საბანკო სისტემის მოდელი, თავისი საიმედოობითა და სტაბილურობით, ცნობილია მთელ მსოფლიოში.

ანაბრების დაზღვევის სისტემა წარმატებით მოქმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც ანაბრების 100%-იანი ანაზღაურების სიდიდე 100 ათას აშშ დოლარს შეადგენს.

საბანკო ანაბრების დაზღვევის სისტემა შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებს რუსეთშიც, რომელიც დაიწყო 2005 წელს და უკვე 2006 წლისათვის, რუსეთში მოქმედი ბანკების 78% ანაბრების დაზღვევის სისტემის წევრები გახდნენ, ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ბანკებში, რუსეთის საბანკო სისტემაში არსებული ფიზიკური პირების 98%-ია თავმოყრილი, გამოდის, რომ რუსეთის ფედერაციაში ანაბრების თითქმის მთლიანი მასა დაზღვეულია.

კერძო პირების ანაბრების დაზღვევის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუ გარკვეული მიზეზით, ბანკი ვერ უბრუნებს მეანაბრეებს მათ დანაზოგებს ანუ ანაბრებს, რომელიც ბანკში აქვთ განთავსებული, მაშინ ამას გააკეთებს სპეციალურად ამ მიზნისათვის შექმნილი ანაბრების დაზღვევის სააგენტო, თუმცა, არა განუსაზღვრელი ოდენობით, არამედ წინასწარ განსაზღვრული, მაქსიმალური ზედა ზღვრის ფარგლებში. რუსეთში ეს თანხა შეადგენს არაუმეტეს 190 ათას რუბლს ერთ საბანკო დაწესებულებაში, მიუხედავად ერთი ადამიანის საანაბრო ანგარიშების რაოდენობისა. ამის გამო, მეანაბრეები

იძულებული ხდებიან, გადაანაწილონ თავიანთი დანაზოგები სხვადასხვა საბანკო დაწესებულებებში, რის გამოც ხდება კლიენტების ნაწილის გადინება ერთი საბანკო სისტემიდან სხვა საბანკო დაწესებულებაში.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ რუსეთის ფედერაციაში ანაბრების დაზღვევის სისტემაში სადაზღვევო კომპანიები არ არის ამოქმედებული, ანაბრების დაზღვევის ფონდი ნაწილობრივ სახელმწიფოსგან ფინანსდება, ნაწილობრივ კი მონაწილე ბანკების ანარიცხების ხარჯზე, რაც თავისთავად, ბანკებისათვის ანაბრების მოზიდვის თვითღირებულებას ნაწილობრივ ზრდის, აქედან გამომდინარე, რუსეთში ანაბრების პროცენტული განაკვეთები შესაძლოა შემცირდეს კიდევ და კრედიტების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოშიც და ასევე პოსტსაბჭოთა სივრცის უმრავლეს ქვეყნებში, მოსახლეობა ბანკების მიმართ ფრთხილი და არასანდო დამოკიდებულების გამო, თავის დანაზოგს ჯერ კიდევ სახლებში ინახავს. სწორედ, **ანაბრების დაზღვევა** გახდება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი საბანკო სისტემის ფინანსური გაჯანსაღების საქმეში, ხოლო თვით ბანკები უფრო გამჭვირვალე და საიმედო, რაც ეროვნული საკრედიტო რესურსების დაგროვების უმნიშვნელოვანეს ბერკეტად იქცევა.

საქართველოში ანაბრების დაზღვევის სისტემის შექმნისას, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის ხარვეზები, რაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში თან ახლავს ანალოგიური სისტემის მოქმედებას, მაგალითად:

1. ბანკების გაწევრიანებამ ამ სისტემაში არ უნდა იმოქმედოს ანაბრების და სესხების საპროცენტო განაკვეთებზე;

2. ანაზღაურებადი ანაბრის მაქსიმალური ზედა ზღვარი ისე უნდა იქნეს მოძებნილი, რომ ამან არ გამოიწვიოს კლიენტურის გადინება ერთი საბანკო დაწესებულების ფარგლებიდან სხვადასხვა საბანკო ინსტიტუტებში;

3. ანაბრების დაზღვევა უნდა იყოს ნებაყოფლობითი;

4. ანაბრების დაზღვევის სისტემა ბანკებთან ურთიერთობისას უნდა გახდეს მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობის დაცვის ბერკეტი.

გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, საქართველოში ანაბრების დაზღვევის სისტემის შემოღებით, მოსალოდნელია საბანკო სისტემაში შემდეგი ეფექტიანი ცვლილებების განხორციელება:

1. განმტკიცდება მოქალაქეების ნდობა სა-

ბანკო და სადაზღვევო სისტემების მიმართ;

2. მოსახლეობაში არსებული ფულის მასა მაქსიმალურად იქნება მოზიდული საბანკო სისტემაში და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკაში;

3. სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება უფრო მარტივი და ეფექტიანი გახდება;

4. როგორც საბანკო დაწესებულებების, ასევე მოსახლეობის ფინანსური დანაკარგების რისკები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი;

5. იურიდიული და ფინანსური გამჭვირვალობა შეანაბრებს მისცემს მისთვის სასურველი

არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას.

ამ ღონისძიების რეალიზაციით, სახელმწიფოსა და საბანკო სისტემის მარეგულირებელ ორგანოებს უფრო ზუსტი ინფორმაცია ექნებათ მიმოქცევაში არსებული ფულის მასის შესახებ, შესაძლებელი იქნება უფრო სწორი და გონივრული გადაწყვეტილებების მიღება ფულის მასის რეგულირების კუთხით და უფრო ეფექტიანი და სწრაფი შედეგების მომტანი იქნება ნებისმიერი სახის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება, რაც ქვეყანას უფრო მაღე გამოიყვანს კრიზისული მდგომარეობიდან.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ”. საქართველოს საბანკო კანონმდებლობა, თბილისი, სეპ-ის გ-ბა. 1996.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი. სიახლეები. ბანკების შესახებ. 2011. www.nbg.ge
3. Базел 2. Обсуждение. «свободная энциклопедия». www.wikipedia.org.
4. Делягин М., Шейнов В., Мир наизнанку. «Чем закончится экономический кризис для России?» ИД «Коммерсантъ». ЭКСМО, Москва, 2009, 347 с.
5. Сакс Дж. Рыночная экономика и Россия. Москва, Экономика, 1995.

ЗНАЧЕНИЕ СТРАХОВАНИЯ ВКЛАДОВ В БАНКОВСКОЙ СИСТЕМЕ ГРУЗИИ

МАИЯ АЛАДАШВИЛИ - асист. профессор

В статье рассмотрены роль депозитов в банковской системе в развитии национальной экономики. Внедрение опыта развитых стран мира, При введении гибкой системы страхования банковских депозитов, ожидается осуществление следующих эффективных изменений: Укрепление доверия граждан к банковской системе; Денежная масса населения будет максимально привлечена к банковской системе; реализация денежно-кредитной политики станет проще и эффективнее. Риски финансовых потерь будут сведены к минимуму.

INSURANCE OF DEPOSITS IN THE BANKING SYSTEM OF GEORGIA

MAYA ALADASHVILI - assist. professor

In the article author analyzes the role of deposits in the banking system in the development of country's economy. By introducing the flexible system of deposits insurance; using the existing experiences of developed countries throughout the world, the following effective changes in the banking system can be expected: the growth of people's confidence in the banking and insurance systems; the people's money supply will be maximally attracted to the banking system and thus to the country's economy; it will be easier and more effective to carry out the country's monetary policy; and the risks of financial losses will be minimized.